

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ხათუნა ცერცვაძის ანგარიში 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მოგესალმებით ძვირფასო ამომრჩევლებო, კოლეგებო, თანამოქალაქეებო.

ჩემთვის საკმაოდ ძნელია, ასე, ონლაინ ჩაგაბაროთ ანგარიში გასულ წელს გაწეული საქმიანობის შესახებ, რა თქმა უნდა უფრო კომფორტული იქნებოდა პირისპირ კითხვა-პასუხის რეჟიმში მომეყოლა ამ ყველაფრის შესახებ, რადგან პირდაპირი კომუნიკაცია გაცილებით მეტის თქმის და მეტად ფართოდ გადმოცემის საშუალებას მომცემდა, თუმცა მსოფლიოში არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, არსებულმა პანდემიამ დიდი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვახორციელებდი საკრებულოს 2 მუდმივმოქმედ კომისიაში: განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიაში. ვარ „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ წევრი, ვარ ფრაქცია ქართული ოცნება-მწვანეების თავჯდომარის მოადგილე და თავჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ვასრულებ მის მოვალეობას. აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მიერ მისაღებ სამართლებრივ აქტების განხილვა-დამტკიცებაში, ასევე, ვმუშაობდი „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ მიერ წარდგენილ 2021 წლის გენდერულ ბიუჯეტზე. აღვნიშნავ, რომ ჩემს მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც ეხებოდა სახ. ზრუნვიდან გასული ბენეფიციარების მხარდაჭერას მუნიციპალიტეტის მიერ იქნა მოწონებული და მხარდაჭერილი.

გასული წელს ჩემს მიერ დაგეგმილი საქმიანობა პანდემიამ თავისი გეგმის მიხედვით შეგვაცვლევინა, პირადად ჩემშიც იყო დიდი გამოწვევები, გავხდი წითელი ჯვრის მოხალისე და პირნათლად ვასრულებდი მოხალისეობრივ მოვალეობას, დავესწარი წითელი ჯვრის მიერ ორგანიზებულ ონლაინ ტრენინგების სერიას, რომლის საფუძველზეც შევიძინე პირველადი დახმარების და პანდემიის მართვის უნარ-ჩვევები, კარანტინის პერიოდში როცა აკრძალული იყო ტრანსპორტის მოძრაობა, ჩემი საკუთარი ტრანსპორტით ვემსახურებოდი მოწყვლად ჯგუფებს: მარტოხელა მოხუცებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მიუსაფარ ბავშვებს და ოჯახებს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა დღის ცენტრის მენეჯმენტთან ერთად ყოველთვიურად საკვებით ვამარაგებდით მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბენეფიციარებს და მათ ოჯახებს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მათთვის. ჩემი ინიცირებით მოხდა საკონსულტაციო საბჭოს შეკრება, ორი სახელმწიფო ზრუნვიდან გასული უსახლკარო ბენეფიციარის საქმის შესწავლა და განხილვა, რამაც დადებითი შედეგი მოიტანა: ამ ბენეფიციართაგან ერთ-ერთს შეუძინა მუნიციპალიტეტმა საცხოვრებელი ბინა და მეორე ჩართულია ქირის პროგრამაში.

ჩემს ყურადღების მიღმა არც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბენეფიციარების და მათი ოჯახების მხარდაჭერა დარჩენილა, ორგანიზაციასთან ერთად ვმუშაობდი მათი საჭიროებების გამოკვეთაზე; პანდემიის პერიოდში, როდესაც იყო ბიზნეს სექტორს განსაკუთრებულ

მხარდაჭერა სჭირდებოდა, დავუკავშირდი ერთ-ერთ დამკვეთს, რომელმაც გამოხატა თანამშრომლობის მზაობა და პირველად გურიაში იკერებოდა, ლუგარის ლაბორატორიის მიერ აღიარებული, ჯერ ორშრიანი და შემდეგ სამშრიანი პირბადეები. დასაქმდა გურიაში მცხოვრები კერვის ოსტატი ქალები. მინდა გითხრათ, რომ მათი ოჯახებისთვის ამ საქმეში ჩართულობა იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ საანგარიშო პერიოდში, შევხვდი გურიის რეგიონის მინდობით აღმზრდელებს, შეხვედრები ემსახურებოდა მათი საჭიროებების კვლევას და შესაბამის თანადგომას. ასევე მინდა სიხარულით აღვნიშნო, რომ შევძელი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა და მათი შუამდგომლობით დავხმარებოდი, სასურსათო და ჰიგიენური ამანათებით მოგვემარაგებინა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოყოფი ოჯახები.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ვიტოვებ იმედს, რომ ძალიან მალე გადაივლის პანდემიით გამოწვეული სირთულეები, რომლებსაც ერთიანი ძალისხმევით დავძლევთ. ასევე ვიტოვებ იმედს, რომ ასევე ერთიანი ძალებით შევძლებთ, ჩვენი მოქალაქეების სოციალური თუ ეკონომიკურ საჭიროებებზე ოპერატიულ და მიზანმიმართულ რეაგირებას.

მადლობა ყურადღებისთვის!